სისხლის უანგარო დონორთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ჯვრეული

ცუგუნი 14-18 ივნისი 2011 წელი

NCDC&PH

სისხლის უანგარო დონორობა საერთაშორისო-რისკ დღისადმი მიძღვნილი კვირეული

NCDC&PH

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO) 14 ივნისს ყოველწლიურად აღნიშნავს სისხლის უანგარო დონორთა მადლიერების დღეს. 2011 წელს დონორთა საერთაშორისო დღის თემაა „მეტი სისხლი - მეტი სიცოცხლე“, დონაციის რეგულარობასა და უანგარობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სისხლის და სისხლის პროდუქტების მუდმივი ხელმისაწვდომობისა და უსაფრთხოობის თვალსაზრისით, რადგანაც დონორისაგან გაცემული სისხლის შენახვა შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული დროის განმავლობაში, უანგარო მოხალისე დონორებისაგან კი ნაკლებია შიდსის, ჰეპატიტებისა და სხვა სისხლისმიერი ინფექციების გადაცემის რისკი.

გაიღე სისხლი, გაუზიარე სიცოცხლე

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევებით 124 ქვეყნიდან 68 ქვეყანამ ან საერთოდ არ განიცადა პროგრესი ამ საკითხში, ან მხოლოდ უმნიშვნელოდ. სამწუხაროდ ამ ქვეყნების რიცხვშია საქართველო.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა სისხლის უანგარო დონორთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით 2011 წლის 14 ივნისიდან 18 ივნისის ჩათვლით გამოაცხადა სისხლის უანგარო დონორობის ხელშეწყობის კვირეული. კვირეული ჩატარდა არასამთავრობო ორგანიზაცია „დონორთა კლუბ“-ის, თბილისის მერიასა და ჩვენი ცენტრის ერთობლივი ძალისხმევით.

კვირეული გაიხსნა 2011 წლის 15 ივნისს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის საკონფერენციო დარბაზში აღნიშნული დღისადმი მიძღვნილი პრესკონფერენციით.



პრესკონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს სშჯსდ სამინისტროს, დკ&სჯეც-ის, თბილისის მერიისა და ჯანმოს წარმომადგენლებმა. მათ ისაუბრეს სისხლის უანგარო და რეგულარული დონორობის მნიშვნელობასა და საჭიროებაზე. პესკონფერენციის ბოლოს, სამინისტროსა და დკ&სზეც-ის მიერ დაწესებული სიგელები გადაეცათ წლის უანგარო დონორებს: ესტატე ბოლოთაშვილს, ელენე ქუთათელაძეს, ლეილა მარგიანს, ლაშა ლობჟანიძესა და მანანა შვანგირაძეს. თავის მხრივ, თბილისის მერიამ ისინი ფიროსმანის ნახატების კრებულით დაასაჩუქრა. დონორობის ხელშეწყობისთვის, სამინისტრომ და დკ&სზეც-მა სამადლობო სიგელით აგრეთვე დააჯილდოვა თბილისის მერია და თსსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობა.

კვირეულის დღეებში სისხლი უანგაროდ ჩააბარეს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებმა, თბილისის მერიისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანამშრომლებმა.

კვირეული დასრულდა 18 ივნისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „წითელ“ დარბაზში კონცერტით, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მომღერალმა დათუნა მგელაძემ და სტუდენტური თვითშემოქმედების ჯგუფებმა.

კვირეულის განმავლობაში თავისი წვლილი შეიტანეს კომპანიებმა „ბარამბომ“ და „მაკდონალდსმა“

სისხლის უანგარო, რეგულარული დონაციის ხელშემწყობი ღონისძიებები გაგრძელდება მთელი წლის განმავლობაში.